მეთექვსმეტე მატჩი

მოსკოვი. 17 სექტემბერი (ტელეფონით ჩვენი კორ.).

დედაქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობაში დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩმა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის "ტორპედო" და თბილისის "დინამო".

ზედმეტია ლაპარაკი მატჩის მნიშვნელობაზე ორივე გუნდისათვის. საპრიზო ადგილების პრეტენდენტებს უაღრესად ჭირდებოდათ 2 ქულა.

"დინამოს" ძირითადი ნაკლი ამ დღეს დაცვის უსისტემო, სუსტ თამაშში გამოიხატებოდა. ვერც ხოჭოლავამ და ვერც ჩოხელმა ვერ გაართვეს თავი ბრძოლას უშუალოდ მათდამი გაპიროვნებულ ფორვარდებთან და ასეთ სიტუაციაში თორაძე ხშირად უშვებდა ტაქტიკური ხასიათის შეცდომებს. ნახევარმცველებს არა ჰქონდათ საშუალება აქტიური მხარდაჭერა გაეწიათ თავდასხმისათვის და ყველაფერი ამის შედეგად დინამოელთა თამაშმა ვერ დატოვა სახარბიელო შთაბეჭდილება.

მიუხედავად ამისა, თბილისელებს პირველ ტაიმში ჰქონდათ ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მაგრამ კალოევის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

თავიანთ მხრივ ტორპედოელებსაც ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე საშუალება. ივანოვი და ფალინი არაზუსტად ურტყამდნენ კარში.

ერთადერთი ბურთი, რომელმაც "ტორპედოს" მოუტანა გამარჯვება, გატანილ იქნა მე-40 წუთზე: სერგეევის მოწოდება კარგად გამოიყენა დენისოვმა და ბურთი კარში გაგზავნა - 1:0.

მატჩის ბოლო წუთები თბილისელთა მძლავრი იერიშებით აღინიშნა, მაგრამ ბურთის გატანა მათ ვერ შეძლეს. გაიმარჯვა "ტორპედომ".

ვ. პავლოვი.

"ლელო", 20 სექტემბერი, 1959 წ.

დამატებითი მონაცემები "სოვეტსკი სპორტიდან"